

Handwritten signature or initials

6 102

იმაღლი



ყოველთვიური ჟურნალი სიღნაღის გიმნაზიის მოწაფეებისა. ფასი თითო ნომრისა 15 მანეთი.

სიღნაღი, 1 აპრილი.

რუსეთის დიდი რევოლუციის ტალღებში, საქართველომ განახლოა თავისი პოლიტიკური თვით არსებობა. განახლებულმა ცხოვრებამ მრავალი, წინათ უცნობი, საკითხები წამოგვიყენა გადასაჭრელად. საჭირო შეიქმნა რეფორმები ფართო მასშტაბით და ჩვენი ნორჩი რესპუბლიკის მთავრობაც, შეუდგა მათ ცხოვრებაში გატარების, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო დღევანდელ პირობებში. გატარებულ იქმნა რეფორმები ჩვენი ცხოვრების თითქმის ყველა დარგში, ვაშობო თითქმის, რადგანაც ეს რეფორმები ძალიან ნაკლებად შეეხო ჩვენი ცხოვრების ერთ დარგს, სახელდობრ სკოლას. სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს რომ ამ მხრივ ჯერ თითქმის არა გაკეთებულარა, გარდა სკოლის ნაციონალიზაციისა და რვა კლასიან საშუალო სასწავლებლის

ოთხ კლასიანად გადაკეთებისა. მართალია იმასაც დიდი მნიშვნელობა აქვს მაგრამ ჩვენი სკოლა მოითხოვს უფრო დიდ და ღრმა რეფორმებს, რომლის ცხოვრებაში გატარებაც უნდა მოხდეს სულ ახლო მომავალში.

დღეს ყველასათვის ცხადია, რომ ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობისთვის მართკ პოლიტიკურ თავისუფლების მოპოვება საქმარისი არ არის, საჭიროა რომ ამასთან ერთად ჩვენ ეკონომიურადაც თავისუფალნი გავხდეთ. ამ მხრივ საქართველოს მდგომარეობა მაინც რა მაინც არ არის სანატრელი. მრეწველობა, ამ სიტყვის ნამდვილ მნიშვნელობით, თითქმის არ არსებობს, და თუ ახლო მომავალში ჩვენ ვერ შევქმენით იგი, მაშინ ჩვენ, უცხო, ეკონომიურად უფრო ძლიერ, სახელმწიფოს ექსპლუატაციის საგნათ გავხდებით და საფიქრებელია, როდის შევძლებთ და მოვიშორებთ თავიდან მათ ეკონომიურ ბატონობას.

რით, რა საშუალებით უნდა შევქმნათ ჩვენ ჩვენი მრეწველობა? ამ კითხვაზედ სწორი პასუხი მხოლოდ ერთი შეიძლება იყოს. ეს შეიძლება მხოლოდ მრეწველობა-აღებ მიკემობაში კერძო ინიციატივის სრულ თავისუფლებით და სწავლა აღზრდის საქმის ისეთ ნიადაგზედ დაყენებით, რომ მას ჰქონდეს საშუალება აღზარდოს თავის წილში არა „ჩინოვნეობა“ არამედ ცხოვრებასთან დაახლოვებული სპეციალური ცოდნით და ენჯურჯით აღჭურვილი ახალგაზრდები. ამ მხრივ ჩვენი სკოლა ვერ აკმაყოფილებს ამ მოთხოვნელებს. არც გასაკვირველია მას როგორც ნაშთს, მემკვიდრეობით გადმოცემულს ძველ რუსეთის მიერ. უნდა აღეზარდა მხოლოდ და მხოლოდ „ჩინოვნეობა“ რადგანაც რუსეთის მეფის მთავრობას მხოლოდ ისინი სჭირდებოდა თავის დახლართულ ბიუროკრატიულ მექანიზმას გასაძლოლად. მაგრამ ესაა მდგომარეობა შეიცვალა; დღეს „ჩინოვნეობის“ ასეთ დიდ კადრის მაგიერ, ჩვენ გვჭირდებიან, ინჟინერები, ტექნიკები, აგრონომები და სხვა სპეციალურ ცოდნით აღჭურვილნი მუშაკნი, რომელთაც ცოდნაც და ხალისიც უქნებათ ჩვენი ცხოვრების განახლების, მრეწველობა-აღებ-მიკემობის აყვავებისთვის.

დღევანდელი სკოლა ამ მოთხოვნელებს ვერ აკმაყოფილებს და ამიტომ საჭიროა მისი რეორგანიზაცია, საჭიროა როგორც ცენტრში ისე პერიფერიებში დაარსება სპეციალურ სასწავლებლებისა, რომელნიც გააკრველებენ ტექნიკურ ცოდნას ჩვენში.

ეს იქნება პირველი საწინდარი ჩვენი ეკონომიურ დამოუკიდებლობისა, სიძლიერისა და მასთან ერთად ბრწყინვალე მომავალისაც.

ახსნა გავზრდომისადმი.

ულაშობელმა სტიქიამ მოულოდნელი და საშინელი რისხვა არგუნა ახალგაზდა საქართველოს რესპუბლიკას... საყვარელი დედა-სამშობლო კვლავ განსაცდელში ჩავარდა... მეხვიით აფეთქებული ხმა ბისი უბედურებისა—მე დგრად გაისმა ყოველ მის კუთხეში და მძლავრმა გლოვიარებამ მოიცვა ქართველი ერის ფიზიკური არსებობა. საქართველოს გულს მოსწყდა ქალაქი გორი. მიწის ძვრამ სწრაფად გაანიავა ყოველივე ის, რაც მრავალი წლობით გორელების მიერ იყო შექმნილი. ასე უეცრად განადგურდა გორი, დაინგრა ის გამოერჩია საქართველოს ქალაქთა რიცხვს და ბუნების სტიქიამ იგი დამარხხა...

აღარ არსებობს ქალაქი გორი!—და ეს ხმა იქნენად სასოწარმკვეთი და აღმაშფოთებელია ყოველი ქართველის გულისა, რომ ჩვენ არ ძალგვიძს ჩვენი წმინდათა-წმინდა სამშობლოს სევდით უაღრესად არ განვიმსჯვალოთ. ჩვენ არძალგვიძს სამშობლოს უბედურებას არ ვიზიარებდეთ—მით უმეტეს, რომ გორის და

მის გარშემო სოფლების დაღუბვა დღეს რამოდენიმედ შეაფერხებს საქართველოს რესპუბლიკის ბევრე ათა და მის სახელმწიფოებრივ წარმატებას. თანაქედრივე ეპოქაში ცხადზე, უცხადესია, რომ ყოველი ადამიანის არსებობა სამშობლოს გარეშე აუტანელია... ჩვენი ბედი დამოკიდებულია სამშობლოს ბედთან... ჩვენ ყველანი მივისწრაფვით ბედნიერებისაკენ და მივხსნევთ მას მხოლოდ მაშინ, როდესაც ბედნიერი იქნება ჩვენი სამშობლო. სამშობლოს ბედნიერება წარმოუდგენელია ისე, თუ ბედნიერად არ იარსებებენ მისი შემადგენელი ელემენტები... დღეს, როდესაც ქართლის გული გორი თავისი სოფლებით განადგურდა და მით ჩვენს საქართველოს საფთხე განემზადა—არ შეიძლება განსაკუთრებით ახალგაზდობას არ აღეგზნას გული მგზნებარე ცეცხლით სამშობლოსადმი უზომო სიყვარულითა და გამწარებული ჩვენი ქვეყანა არ გაახაროს მშობლიური სიყვარულით, რომელიც გორელებისადმი დახმარებით უნდა დაამტკიცოს...

ახალგაზდობავ! დღეს შენი გული და სული. სამშობლო განსაცდელშია და გამოიჩინე მამულიწვილობა; გამოიჩინე სიყვარული და დაამტკიცე, რომ მართლაც შენ ხარ ღირსეული შვილი საქართველოსი. ვინაიდან ჩვენი ერის სიამაყე შოთა გვეუბნება:

„ბედითი ბნედა სიკვდილი რა მიჯნულობა გგონია?

სჯობს საყვარელსა უჩვენო საქმენი საგმირონია!..“ აი, რა უნდა მემამოძრავდეს ხოლმე, ემაერად საკეთილდღეოდ ჩვენი ხალხისა!.. დაეწმაროთ უბინაო გორელებს ფულით, დაეცმაროთ რითაც შეგვიძლია!..

ახალგაზდობავ! შენი ვალია-რაინდულის თავგანწირულებით სამშობლოს ირგვლივ უბნენდე... შენი ვალია-არწივივით ფრთებ გაშლილი სამშობლოს ყოველ კუთხეს დაჰტრენდე- მისი სევდის თუ სისარულის შესამცნობლად!..

ახალგაზდობავ! შენი ვალია—სამშობლოს წყალულებს მალამოდ დაედო!.. ასეთი მოგვინა შენ უნდა გაკაუბედეს, გაგულადებდეს და გახარებდეს, ვინაიდან ქეშმარიტად ასეთი უნდა იყვეს შენი ბუნება!..

საქართველოს შვილნო! დაეხმარეთ გორელებს. ვინც ჩვენგანი უარს იტყვის უბინადრო, შიშველ ტიტყელ, მშიერ-მწყურვალ გორელების დახმარებაზე — ის იქნება უღიდესი მტერი ჩვენი ქვეყნისა!..

„დღეს გამოჩნდება ვან არს ერთგული
„ვის უფრო გვიყვარს ძმანო მამული“.
ქირშიც და ღებინშიც ერთად ვიყენეთ ჩვენს მტერთა და ღეშმანთ სავალალოდ. ჩვენო მოძმენო გორელებო! ნუ მიცეცებით სასოწარკვეთილებას ვიდრე ქვეყნიერებაზე იარსებებს თუნდა, ერთი ქართველი.

ჩვენო მოძმენო გორელებო! დავეხმარებით ფულით, დავეხმარებით სანოვანით, დავეხმარებით საცულით, დავეხმარებათ ყველაფრით რითაც შეგვიძლია!..

ქართლის გული გორი თავისი სოფ-
ლებით კვლავ აღსდგება, კვლავ აყვავ-
დება და გაძლიერება; იმიტომ რომ ჩვენს
რესპუბლიკაში ერთის ფიქრით, ერთის
გრძნობით განმსჯეალულნი ვართ.

დღეს დანგრეული ქალაქი გორი კვლავ
აღსდგება და უფრო გაძლიერდება ვიდ-
რე ის აქამდე არსებობდა.

საქართველოს შვილნო, გორელებო!
კვლავ გაიხარებთ და იზეიმებით გორის

განახლებით ჩვენი ქვეყნის ნორჩ რესპუ-
ბლიკაში.

ვის გულშია ცოდნავ მაინც ღვივის
პატრიოტული გრძნობა და სამშობლოს
სიყვარული--დე, დამტკიცოს მან ეს სა-
ქმით...

დე, მით ვაივოს ქვეყნიერებამ, რომ
ჩვენ ყოველთვის ვიზიარებით ხოლმე თა-
ნამომშეთა უბედურებას!...

გიმნაზიელი ილია.

* * *

ოდეს ცა სტირის და ცრემლებს აფრქევს,
მიწა წვიმისგან ანაკადდება,
წალეკავს ირგვლივ ყოველ საამურს,
ზღვაც კი ტალღებით აბობოქრდება;
უცებ დაჰქროლებს ცელქი ნიაფი,
თითქოს, ეს არის გამოიდარებს.

შაგრამ ნიაფი ისევ ჩადგება
და წვიმა სვედით ისევ წკაპწკაპებს!
ასეა ხოლმე, ცხოვრების გზაზე
ვინმე იმედით მოგველინება,
ნუგეშის ხმებით დაგიტკობს სმენას
წუთს ტანჯვის წყლული გაგიუჩრდება.

შაგრამ იმედიც მალე განქრება,
გულში კვლავ სვედა დაისადგურებს,
სულის სიობლევ და სიპარტივე
მწარედ, ოჰ! მწარედ კვლავ აგატირებს.

სულ მთლად წალეკავს გულის სიამეს
სევდის ღვართ ქაფი. მწარე, მტანჯველი;
ნულარ გაჰყურებ მაშინ მომავალს,
იქ საიმედოს ნულარას ელი.

ოდეს შენს გულში შეება-იმედი
შავი სვედებით წალეკილია,
მომავლისაკენ ოცნება ტკბილი,
ტყეული სიზმრის, მხოლოდ ჩრდილია.

დემოკრიზისი გსოფლგხადველოგა.

ძველი ელინეთი არის პირველი აკვანი კაცობრიობის კულტურისა, ელინთა ცივილიზაცია გახდა საფუძვლად შემდეგ ვივერობის დაწინაურებულ ხალხთა ცივილიზაციისა, ელინთა მეცნიერებამ, განსაკუთრებით მათემატიკურმა, გადმოტანილმა დასავლეთ ვერობის ნოყიერ ნიადაგზედ, მოგვცა უხვი ნაყოფი; ელინთა ფილოსოფიამ ხომ თავის განვითარების უმაღლეს წერტილზედ, სრულიად დაჩრდილა ცხოვრების სხვა ყველა დარგები, თვისი სიცხოველით, ფართო შემოქმედების უნარით და დაუსრეტელ გონებრივ ენერგიით, თითქმის განუმეორებელი

დარჩა კაცობრიობის სულიერ განვითარების ისტორიაში.

ელინთა ფილოსოფია იყო უმთავრესად გრძნობის ფილოსოფია. ინსტიტუტური გრძნობით განვჭრიტეს მათ ბევრი ისეთი ქეშმარიტება, რომელნიც მხოლოდ მრავალ საუკუნოების შემდეგ გახდნენ კაცობრიობის სულიერ. საუნჯედ. ამის საუკეთესო მაგალითად შეიძლება ჩაითვალოს ანაქსიმანდრი, ჰერაკლიტი და ემპედოკლი, რომელნიც გახდნენ წინამორბედი დარვინისა, აგრეთვე დემოკრიტი რომელმაც თავისი ფილოსოფიური სისტემა ააგო ატომების და მათი მოძრაობის იდეაზედ. რომ წარმოიდგინოს, სწერს პროფ. მ. მენზბირი, წარმოშობა მსოფლიოსი, მისთვის (ე. ი დემოკრიტისთვის) საკპარისია

მისი ბრალია.

(გაგრძელება).

V

ასე მიდიოდა დრო და ხანი. ღვთისაგაოი გაეჩვია მინდვრად, ხშირად თითო კვირაობითაც რჩებოდა ცხვარში. მშობლები გახარებულნი იყვნენ ჭკვიანი, უწყინარი და მშრომელი შვილით. ერთხელ ივანე გუთანზე იყო და ღვთისავარი თანაჰყვანდა. დღისით გუთანსა ჰხნავდა მხოლოდ დაჲე კი, საქონელს ატანდნენ მებრეებს მამა-მილნი კი ძროხის ბინაზე მიდიოდნენ. ერთს დილით ღვთისავარი, რომ აღვა ცუდათა გრძნობდა თავს, მამამ შეატყო და ჰკითხა: „რა მოგივიდა, შვილო, წუხელ ხომ არ შეგციკდა? და მაშინათვე მოარბენინა არყის შუშა და ერთი ქიქა არაყი ძალად დაალევინა.

რამდენიმე ხნის შემდეგ იგი სიცივემ აიტანა და სულ კანკალი დააწყებინა ივანე ერთგვარმა შიშის ზარმა აიტანა, მაშინათვე გამოუშვა საქონელი მებრეს ძროხაში გააჯანა. ღვთისავარს წამოასხა თვისი ნაბაღი შესხდნენ ცხენებზე და შინისკენ გასწიეს.

გულ-გახეთქილმა თებრომ მაშინათვე გააცხელა წყალი დააბანინა ფეხები, შემდეგ ჩააწინა ლოკინში. ზევიდგან რამდენიმე საბანი დაჰხურა და ყოთხრა:

შენი ქირიმე კი მენი, გასციებულხარ დედა გენაცვალოს და იმიტომ, ერთი ლამაზი ოფლი გადაგკრამს და მერე უყურე როგორ კივიკივივი წამოხტე! - რავი მე კი სიკოცხლემში წილი აღარა მაქს დადაურთო ივანემ.

ღვთისავარს მისკა ახლა სიციხე და გათენებამდის სულ ჰპოდავდა. თებრო ხან

წარმოიდგინოს არსებობა ატომებისა და მათი მოძრაობისა ე. ი. იმ ქვეკუთხედისა რომელზედაც არის აგებული მთელი თანამედროვე ატომისტური მოძღვრება¹⁾“ „და თითქოს, გინაგრძნობს იქვე პატივცემული პროფესორი, არასოდეს მეცნაერება არ უნდა მდგარიყოს ასეთ სწორე გზაზედ განვითარებისთვის“. მაგრამ დემოკრიტის სისტემა, მიუხედავად თვის მრავალ დადებით მხარეებისა, შინაგან მთლიანობისა და იმ საღ მეცნიერულ პრინციპებისა, რომელნიც პიროვნებას ფართო გზას უშლიდნენ მეცნიერულ კვლევა-ძიებისთვის, მაინც დაჩრდილულ იქმნა და დუალიზტურმა ფილოსოფიამ

¹⁾ იხ. М. Мензбирь. „Исторический очерк возвращений на природу“.

სანთელებს ანთებდა, ხან საწირავს ავლებდა თავზე რომელიმე ხატის სახელობაზე, მაგრამ არ იქმნა მას სიციხე იმ ღამეს არ გამოჰნელებია. დილით გათენებისას ცოტათი სიციხემ უკლო და საქველიც მოითხოვა. გახარებულმა თებრომ ერთი მსუქანი ვარია დაუკლა და ის შეაქამა რამდენიმე ნაჭერი. რამდენიმე საათის შემდეგ ასტივდა თავი და მოათხოვა ექიმი. შეშინებულმა მშობლებმა მორთეს წუწუნნი: „საექიმო რა გაქვს შეილო გაციებული ხარ გაგივლისო. ამათი ამბავის რომ გავგო ღვთისავარის მამიდას მაშინას-თვე მოვიდა ავანტყოყის სანახავათ და რა შიშ ატანილები დაინახა ძმა და ძმი-ცოლი გაამხნევათ:

„რა იყოთ ქა, დამხსენ ღმერთო ნაცილისაგან ე ბიჰს გუღს რაზე უხეტყამთ,

მძლავრად გაშალა ფრთები ელინთა აზროვნობაში. მაგრამ მიუხედავად ამისა დემოკრიტის სისტემა, მაინც წარმოადგენს ფრიად საინტერესო მოვლენას კაცობრიობის გონებრივ განვითარების ისტორიაში და ამ მხრივ მისი დახასიათება ვგონებთ არ უნდა იყოს ინტერეს მოკლებული.

* * *

ატომისტურ შკოლის დამაარსებლად ითვლება ლევკიპი, რომლის დაბადების წლის და ადგილის შესახებ ჩვენ არავითარი ნამდვილი ცნობები არ მოგვეპოვება, მხოლოდ მის მოწაფის დემოკრიტის შესახებ კი ვიცით რომ ის დაიბადა ფრაკიაში ქ. აბდერში დაახლოვებით 460 წელს ქრისტეს შობის წინ. იყო განთ-

არა გინახამთ რა, რა არის, რა მოგველიათ! თებრომ წუწუნითა ჰკითხა: „ჩემო მულო ექიმს თხოულობს და მოვეგაროთ!

— რას ამბობ, ღმერთა ისიც დასწყევლა და იმისი ექიმობაც. სურდო რომ ჰქონდეს ეუბნებიან „სტიკიფა“ გაქვსო, პურს უკრძალავენ და კარგამყოფს ხალხს შიმშილით ჰზოცავენ. ექიმები რად გინდათ კულავ რომ ექიმები არა გვეყოლია. რა ვერ გვიცხოვრია თუ რა, იგრე ღმერთმა შე მიშველოს რამდენი ექიმები იმასა ცდილობენ, რომ ავადმყოფობა უფრო გაულრმავონ რათა ბევრი ფულები ახვეტონ. შენ მე მითხარ რა სტიკია ექიმი აქ არა გყვავს ჩვენებიანთ ბაბია მთელს ქვეყანაზე განთქმულია მაგის სახელი.

— იპი რა ვიცი ჩემო მულო თავს იტყვიებს ძლიერ.

ქმული მეცნიერი და ბუნების მეტყველი, აღჭურვილი დიდი ნიჭით და ცრდნის მოყვარობით, მან მოიარა მთელი მაშინდელი კულტურული აღმოსავლეთი და სხვათა შორის იყო ეგვიპტეში და ბაბილონში კარგათ იცნობდა, როგორც ძველ ისე ახალ ფილოსოფიურ შკოლებს და მიმართულებებს რომლებითაც უხვად იყო მოწინააღმდეგე მთელი მაშინდელი საბერძნეთი.

ძირითად დებულებას ატომისტურ ფილოსოფიისას შეადგენს იდეა სივრცის მატერიისა (ატომების სახით) და მოძრაობისა. დემოკრიტს და ლევკოპს თანახმად ელემენტებისა, ²⁾ ვერ წარმოედგინა.

2) ელემენტების შკოლა იყო დაარსებული ქ. ელეაში. ამ შკოლის მიმდევარი უარყოფდნენ შესაძლებლობას მოძრაობისას, წარმოშობისას და მოსპობისას, ე. ი. სწამდათ მსოფლიოს აბსოლიუტური უძრავობა. მთავარ წარმომადგენლათ ამ შკოლისა ითვლებიან ქსენოფონი და პარმენიდი.

- ქა შე გასახარელო ექნობამდის ვერიტყოდი ე ბჭი ნათვალავია. გაიკრიბილი და წავიდა ბაბიასთან მოსაყვანად. ღვთისწავარს ამ დროს აღარაფერი გაეგებოდა სიცხისგან.

ბაბია გახლდათ ამათი მეზობელი მოხუცი დედაბერი. გაიძვერა, თილისმა ლაცკების მკოდნე და ჯადოების შემეკრეული მთელი ამ მხარისა, გახლდათ ბაბიარ ქელსაც ყველა ესენი თვითა დედამთილსავერ შეესწავოა. მოვიდნენ საღამოთი ღვთისწავარის მამიდა და ბაბია ბაბია მიკადა ავადმყოფთან და თან ზეუდესოთო: „შენ ჩემო თაო რად დაახანეთ თებოო, როდის ვარგა ნათვალკეო დაბანეა. ჩემი გელსათვინ საიდგან საღმრდინ და ყექ აოა ვარ ვერ დამიძახებდი თებოო პასუხს მიცემის მაგიერ ქვითი-ნებდა.

ნათ არარაობისაგან წარმოშობა და აბსოლიუტური მოსპობა ნივთიერებისა, მაგრამ ამასთანვე უარყოფდნენ იმავე შკოლის შეხედულებას მსოფლიოს აბსოლიუტურ უძრავობაზედ და თანახმად ჰერაკლიტისა, ³⁾ აღიარებდნენ მსოფლიოში არსებულ ემპირიულ ფაქტს, ნივთიერების განუწყვეტელ ცვალებადობას ე. ი. მის მოსპობას და წარმოშობას, მაგრამ მხოლოდ იმ ნივთიერებისას რომელნიც წარმოადგენენ შეერთებას რაედენივე ელემენტების ანუ ატომებისას.

3) ჰერაკლიტი სტრაბონად ქ. ეფესში. მის წარმადგენით მსოფლიო განიცდის განუწყვეტელ ცვალებადობის პროცესს. მის (ე. ი. მსოფლიოს) არსებაში განუწყვეტილი სწრაფობს ბრძოლა წინააღმდეგობათა შორის; რომელთა წინააღმდეგობასაც იცავს პარმენიო „ისე რომ, ამოზს ნ. სტრაბონი, მხოლოდოში ერთ და იგივე დროს არის ბრძოლაც და სიმშვიდეც“. იხ. Н. С. ГРАХОВЪ „Очеркъ истории философи“ გვ. 24.

ბაბიამ მოიტხოვა შეეტარა დანა. დაიჭირა ხელში და უჩუმრა სიკვებში მყოფს ავადმყოფს დაურწყო შელოცვა შემდეგი სიტყვებით: „სახელო ზეთისა ღვთისწავარ, სახელო ღვთისა ღვთისწავარ, სახელო ღვთისა ღვთისწავარ! შეგილოცამ თვალიისასა (შ ჯერ) შეგილოცამ: დიდისასა პატარისასა, კაჭისასა, დედეკაცისასა, შინაუოისასა, გარეულისასა, შავთვალისასა, ჭრელი თვალისასა, ქვრივისასა, ქალწულისასა, თეთრ ყირმისასა შენო ათვალასა. თვალში ნაცარი, გულში ლახვარი ბანით ცეცხლი კარით ნათი. ზის დედა მარამ მია ტარზედა. ჩამაიარა უფალომა. „რას სტირი დედავ მარამ, რას სჩივი დედავ მარამ? რას ეტარი უფალო, ას ვჩივი? ურიამ ჩამოიარა მომიგო: „სტანი ელისა მომადოთმა გიშერისა „ჩათვალე დედა მარამ ეშკავად, ღმერთო შენ დასწერე

ეს წარმოშობა და მოსპობა ნივთსებრებისა არის არა აბსოლიუტური არამედ შედარებითი (относительно) ვინაიდან ყოველი ახალი სახის ნივთიერება არის ნაყოფი სხვა რავენდნივე ნივთიერების ანუ ატომების შეერთებისა, მოსპობა კი ამავე ნივთიერების დაშლისა თავის შემადგენელ ელემენტებთან ანუ ატომებთან.

ამ რიგად დემოკრიტმა აღიარა შესაძლებლობა, წარმოშობისა, მოსპობისა და მოძრაობისა მაგრამ ამისთვის საჭირო იყო აღიარება კარიელ სივრცისა სადაც შესაძლებელი გახდებოდა მოძრაობაც, წარმოშობაც და მოსპობაც, დემოკრიტმაც აღიარა ეს სივრცე კარიელი და დაუსრულებელი, სადაც საუკუნოდან არიან მოთავსებულნი ატომები.

ატომები ერთმანეთისგან არაფრით არ არიან განსხვავებულნი გარდა ფორმისა და სიდიდისა. რადგან ატომებს არა აქვთ ერთნაირი სიდიდე და მაშასადამე სიმძიმეც ამიტომ ისინი ერთნაირად არ ისწრაფვიან ძირს სივრცეში, არამედ უფრო დიდნი და მძიმენი მიილტვიან უფრო სწრაფად, მხოლოდ მსუბუქნი კი ნელა.

ამ უთანასწორო მოძრაობის წყალობით, მძიმე ატომები უსწრობენ მსუბუქ ატომებს ეხეთქებიან მათ და ისევ მისწრაფვიან ძირს სივრცეში, მხოლოდ მსუბუქი ატომები კი ასე დაუსრულებელ შეხეთქების გამო მძიმე ატომებთან თანდათან შეუჩერებლივ იწვევენ ზევით, და ასე თანდათან იქმნება ის წრის-მაგვარი მოძრაობა, რომელშიაც დროთა დაუ-

შენი პირჯვარი. და თან დანას ასწევს, დასწევს თვალებს, ჰხუჩავს და ახილებს შემდეგ ადგა, წავიდა და უთხრათ: ხვალ როგორ დაჰხნდავთ შემატყობინეთო.

იმ დამეს ღვთისავარს სიტყემ უფრო შეუკეთა და მთელი დამე კივილში გაატარა მეორე დღეს მშობლებმა ველარა მოახერხეს რა უნდა მიეტოვებინათ ბაბია და ექიმი მოენახათ. დილით ადრე ივანე ადგა ორივე ცხენები წაიყვანა ერთი თავისთვის და ერთი ექიმისათვის.

VI

დილის 10 საათზე ივანემ მახლობელ სოფლიდან მოიყვანა ექიმი. თებრო მიეგება ექიმს და ეხვეწებოდა: „შენი სახის ქირიმე ოლონდ ჩენი ღვთისავარი მოგვირჩინე და შენი მონაყმები გავხდებით. შენი მარჯვენის ქირიმე პატა კარგი წამალი

გამოუწერე, რომ ჩემმა თვალებმა მალე დაინახონ ღვთისავარი ფეხზე.

ექიმმაც დაიმედათ იმ პირობით, რომ კარგათ მოეკრათ, წამალი დროზე დაეღვინებინათ, რძისა და კვერცხის მეტი არა ექმევინათ რა და მასთან ერთად დაარვიგათ: „ახლო ნუ მოეკარებით, როდესაც ახველებდეს, წამალს რომ დააღვინებდეთ არაყი დაისხით ხელებზე, რადგანაც გადასადები ავადმყოფობა აქს უნდა უფროხილდნეთ თქვენც არ გადაგედოთ, მასთან ერთად ამისი ნახმარი ჭურჭელი თქვენ არ უნდა იხმაროთ“. ექიმმა შემდეგ გამოუწერათ წამლები და წავიდა. თებრომა და ივანემ, რომ გაიგეს ღვთისავარს გადასადები ავადმყოფა სჭირდა ანუ როგორც თნთონ ეძახდნენ „ტყვიფა“ მორთეს ტირილი. მშობლების ტყვიფა დაერთო ღვთისავარის კივილი „მიშველედ

სრულებელ მსოფლიობაში ინსაცება და-
საწყისი ამ და მრავალ სხვა ამის შავგარ
მსოფლიოებისა.

ამ რიგად ატომების დაუსრულებელ
წრის-მაგვარ მოძრაობის გამო ხდება რამ-
დენიმე ადგილას მათი კონცენტრაცია,
შეჯგუფება ქაოტიურ ჯგუფებად, რომ-
ლიდგანაც შემდეგში ეამთა დაუსრულე-
ბელ ვითარებაში იქმნებიან სხვა და სხვა
მსოფლიოები. ერთი ამნაირად წარმოშო-
ბილი მსოფლიოთაგანი არის ის მსოფ-
ლიო რომელზედაც ჩვენა ვცხოვრობთ.
თუმცა ყველა მსოფლიოს წარმოშობა
სწარმოებს ერთნაირ პროცესით, მაგრამ
მაინც მათ აქვთ მრავალი სხვა და სხვა
მოყვანილობა, მაგ. ჩვენი დედა მიწა წარ-
მოატყენს პრეტყულს და რგვალს დაფას,

რომელსაც ცის დაუსრულებელ სივრცე-
ში განუწყვეტლივ დაასრიალებს ჰაერო-
ცის მნათობნი რომელთა შორის ყველა-
ზედ დიდნი არიან მზე და მთვარე, ჩვენს
მსოფლიოს სისტემაში კი არ წარმოიშე-
ნენ არამედ შემოუერთდნენ მას თავის
აღორძინების შემდეგ.

როგორც ზევით უკვე იყა მოხსენებუ-
ლი ატომები დემოკრიტისა არაფრით არ
განსხვავდებიან ერთმანეთითგან წარსულ-
ში ისინი არასოდეს არ გაჩენილან, არა-
მედ საუკუნედგან არიან მოთავსებულნი
ცარიელ სივრცეში, და არც მომავალში
ეშლებათ პერესექტივა მოსპობისა. მაშ-
ასადამე ატომების, როგორც მსოფლიოს
ძირიდად ნივთიერების, საშუალებით
უნდა ახსნილ იქნას ყოველგვარი ცვლი-
ლებები და თვისებები შატერისა.

გვედებო“ და სამნივე იქნობამდე განა-
გრძობდნენ ტირილს ვიდრე ღვთისაგარის
მაშიდა არ მოვიდა და ყველას არ დას-
ტყვიდა: „რა იყოთ ქა, რა მოგსვლიათ,
თავის დღეში არა გინახამთ რა, ე ბიჭ
გულს რაზედ უხეტქამო?

როდესაც თებრომ უამბო ექიპის
მოსვლა და მის ნალაპარაკევი, მულმა
უთხრა: „მე არ ვითხარით გაზედა გაცი-
ებული იყოს და სურდო ჰქონდეს ეზნე-
ბიან „ტკვიფა“ გაქსო, საქმელს უგრძა-
ლავენ და შიშვილთა ჰკლავენ კარგა-
მყოფს ხალხსა მეთქი, გენიშნა თუ არა
ჩემი სიტყვები! შეუბრუნდა ღვთისაკანს
და უთხრა: „შენი ჰირივე შენი, ნუჯეში-
ნიან გენაცვალოს მაშიდა იმას აწყოლიანარ
პტრიცა ჰაჰე და წყალიც დალიე თებრომ
იქრის დარიგებან ყურადღება არ მიატყია
და ავადმყოფს წამლის შემდეგ მალათ

საქმელსაც აქვევდა და ტკბილევოსაც,
როდესაც ღვთისაკანს სიტყე შეუთქვდა:
მოწყებრდა: ბოჯას, კვილს მშობლები
მოუსაუბრდნენ გვერდით ჰკონიდნენ
ეზკოდნენ აკვირბოთენ ქვეს დალაგე-
ბრდა, სკრამ ახალ ბავშვი უგრძობლად
განავრძობდა უახროდ ბოჯას.

მკბრე დაქეს ბავშვი ჩაჩუქდა, ხმას
ველიო იქება ველარას ჰგრძობდა,
თებრო და ივანი ჰკვიდგან შეშლოლებიანი
დახდნენ მოიოთ: კვილი, ტირილი,
ლოალი და ქილი სოველი იქ შეყარეს
მშობლები, იქიბა დაკარგოლნი: გაპ-
კილიქნ, ტირილენ და სოვლას მცხოვ-
რ ბაჯე ზაკი იე ქვითინებდნენ ზოგნი
მშობლებს ეკავიოდნენ და ცილობდნენ
მოქმორეთისა ული-მობრძე შეილა-
სათყა მკვირთი იქვე მშობლები ებრძე-
ჯებოდნენ ღვთისაკანს და ჩანახდნენ:

ყოველგვარი გავლენა ნივთიერების ერთმანეთზედ განიყოფება ორ კატეგორიად: გავლენაზედ უშუალოდ და გავლენაზედ სივრცეში ანუ სივრცის საშუალებით. პირველ კატეგორიას ეკუთვნიან ნივთიერების გავლენა ერთმანეთზედ მექანიკურად შეხების საშუალებით. მხოლოდ მეორე კატეგორიას კი ეკუთვნიან გავლენანი სივრცეში, მაგ. თვალსა და სინათლის შუა ან და ანდამატსა და რკინის შუა, ამ შემთხვევაში ეს გავლენა ხდება მიმდინარეობის საშუალებით რომელიც თვალიდგან ან ანდამატიდგან გამომდინარეობს და ახდენს გავლენას სინათლეზედ და რკინაზედ.

თავდაპირველად როდესაც ატომების წრის მავგარ შოძრაობაში წარმოიშვა ეს მსოფლიო მასში ჯერ არ არსებობდნენ ორგანიული არსებანი, მხოლოდ შემდეგ დიდი დროისა მასზეა გაჩნდნენ

„შვილო, შვილო, შვილო“ გათენებისას განუტყევა სული 18 წლის ახალგაზრდა ლეთისაგარმა. მშობლებმა აღარ იცოდნენ რას სჩადიოდნენ. მთელი სოფელი მათის ცადვით ველარა, დგებოდნენ: ოჯახებში მოდიოდნენ და ცდილობდნენ მათ დამშვიდებას, მაგრამ მშობლებს გრძობები დაკარგული ჰქონდათ და მათზედ აღარაფერი მოქმედებდა ნათესავებმარაგოც იყო ქელეხი ალერსი შეამზადეს და მიაბარეს მიწას საყვარელი, დედისერთა. შვილი ღვთისაგარი. იპავ დღითვე მშობლებს ჩალოგინდნენ და ერთკვირამდის ისე იყვნენ ლოგინად, უწამლოდ ნათესავებს და მშობლებს ეგონათ დარღისგან არიან ჩალოგინებულნი და ცდილობდნენ დარდი გაექარებინათ, მაგრამ როდესაც უკრძნობლად ცალქმართ მოართეს ბოღვა მაშინ დაფაცურდნენ.

მისაგან, სულიერ ცხოვრებით დაჯილდოებული ორგანიზმები აი ამ ორგანიული არსებებისკენ იყო მიქცეული უმთავრესი ყურადღება დემოკრიტისა, მაგრამ ამათშიაც იგი პოვებდა გარჩევას და თავის კვლევის საყვარელ სავანად მიხსნეული ჰქონდა თვითონ ადამიანი. დიდ აღტაცებაში მოჰყავდა დემოკრიტი ადამიანის სუფლის ჰაიმონიული მოყვანილობა, ყოველ მოქმედობის და გრძობათა ორგანოები მიზან შეწონილი და შეთანხმებული მოქმედობა ერთმანეთს შორის, მაგრამ უფრო უღიჯეს აღტაცებას განიცდიდა ის ადამიანის სულიერ ცხოვრების წინაშე და ადამიანის ბუნებაში სული მიაჩნდა მის უმაღლეს და უკეთილშობილეს მხარედ.

მართალია სული და სულიერი ცხოვრება დემოკრიტის მსოფლმხედველობაში უფრო მალლა სდგას ვიდრე ფიზიკური

ექიმისათვის. ექიმი ამოიყვანეს, მაგრამ ექიმმა იმედი გადუნყვიტათ „ველარ იკოცლებენო“ მაგალითად დაუყენა მეზობლებს იგანი და უთხრა: „ისეთი ავადმყოფობაა თუ არ გაუფროხნდნებით შეიძლება მთელი სოფლის მცხოვრებნი ერთს კვირას ამოისწყდნენო. მის შემდეგ გაიარა ორმა დღემ და ორნივენი დიხოცნენ. განუტყევეს სული წავიდნენ საყვარელ შვილთან. ვერ გასძლეს უმისოდ და მალე დაადგნენ მის გზას. ნათესავებმა ქუშითხ და ვაით მიაბარეს მიწას ივანე და თებრო. მხოლოდ მათს ცხოვრებაზე ნათესავებს დიდი შეერთა და აყალ-მაყალა ჰქონდათ. ასე აწიოკდა ივანე საბრალეშვილის დიდებული ოჯახი.

ალექსანდრე გზირიშვილი.

მხარე ადამიანის არსებისა, მაგრამ მაინც ეს იმას არა ჰწინანავს რომ მას ეს სული წარმოდგენილი ჰქონდეს როგორც ადამიანის ბუნების მეორე განწყენებული დასაწყისი, წინაღმდეგ პირველისა ადამიანის ბუნების ფიზიკურ მხარისა, როგორც ეს ჰქონდათ წარმოდგენილი, დუალისტებს არამედ წინაღმდეგ ამისა, მისი წარმოდგენით ადამიანის სული ისეთივე მატერიალური არსებაა როგორც სხეული. სული შესდგება მოაფალ პატარა, მრგვალ და პრტყელ ატომებისგან, და მამასადაამე ცეცხლისაგან ვინაიღვან ცეცხლიც შესდგება ამისთანავე პატარა, პრტყელ და მრგვალ ატომებისგან. ადამიანის სული არის გავრცელებული მთელ სხეულში და რომ სხეული არ დარჩეს სულ უსულოდ, რადგანაც ამოსუნთქეი დროს ჰაერს ამოსდევს ხოლმე სულის ატომებიც, ამიტომ ჰაერის ჩასუნთქვის დროს მას თან ჩასდევს დანაკლისის შესავსებად ჰაერში გყოფი სულის ატომები.


ყოველგვარი გონებრივი ცხოვრება ადამიანისა სწარმოებს სულში და განიყოფება ორ კატეგორიად: პირველ კატეგორიას ეკუთვნის აზროვნება, მეორეს კი შეგრძნობა, დემოკრიტის აზრით მხოლოდ აზროვნებისაგან უნდა მოველოდეთ ჩვენ ვადამწყვეტ და ქემმარიტ ცნობებს მატერიის ძირითად თვისებების შესახებ, მაკოამ აზროვნობა მხოლოდ მაშინ არის სწორი როდესაც მოძრაობა, რომელსაც გაიციდის სული აძლევს მას შესაფერტეპერატორას თუმც, დემოკრიტს ქემმარიტების წყაროდ მიაჩნდა მხოლოდ აზროვნობა, აგრამ ამავე დროს აოჯაოყოფდა საჭიროებას აზროვნებასთან ერთად ბუნების შეგრძნობის, მის მოვლენებზედ თყალყურის ჰერის საშუალებით (посредства наблюдения).

მეორე კატეგორიას ეკუთვნის შეგრძნობა: შეგრძნობა სწარმოებს ადამიანის ორგანოების საშუალებით და ეძლევა იმას იმას რომ ბუნებაში არცერთ რაიმე ღიმიე სახის ნივთიერებებიდან, ჰქონდეს თვისი ფორმა და აძლევს თავის მოყვანილობას, თავის წინ მყოფ ჰაერს, ამ სენსასენელს წინ ხვდება მიმდინარეობა (истечение) გრძნობათა ორგანოებიდან, რომლის საშუალებითაც ეს ნივთიერება აღიბეჭდება ადამიანის სულში. ყოველგვარი ნივთიერებანი შეიკნობიან ადამიანის მიერ, მასში არსებულ ერთგვარი ატომების საშუალებით

სულიერი ცხოვრებით დაჯილდოებული არიან არა მარტო ადამიანები, არამედ ყველა ცოცხალი და არაცოცხალი ორგანიზმები, ამ სულის რაოდენობა საგანში ვანიზობება სითბოს რაოდენობით, ვინაიღვან ის საგანი რამდენად მეტი სითბოა სულიც მეტი უნდა იყოს, მალოოდ თუ სითბო ნაკლებია მაშინ სულიც ნაკლებია იმ საგანში. დემოკრიტს ეკუთვნის აგრეთვე იდეა რომ სული როგორც მატერიალური სუბსტანცია ცოცხალი ორგანიზმის დაშლის ანუ სიკვდილის შემდეგ თითონაც კვდება ანუ იშლება თავის შემადგენელ ატომებად.

ს. ფურცელაძე

(გაგრძელება იქნება)



„იეა ს“.

შენმა სახელმა მომხიბლა მარად
და გამიცოცხლა იმედი გულში,
აწ ჯევედრები მომაბყარ თვალი
იგრძენ რაცა სძევს ჩემ ტანჯულ სულში.

სწორათ ზიგულე, ვით ამხანაგი,
სამშობლოს ვეტრფი მუდამ და მარად,
და თუ როდესმე სხვაში ვავცვალო,
ღმერთს ვთხოვ — შევიქნე წყლულთა იარაღ.
მასთან ვილხინებ, მასთან ვიტირებ...

მას თან დავალევ ჩემს მოკლე დღესა,
და ამ ტანჯვით კი სენს შევუქარებ.

შენს ღვიძლ შვილებს და მოძმესა შენსა.

არაფერს არ ვთხოვ, გაძლევ მე სიტყვას,
არც მინდა მვანდეს საფრენათ გედი,
მხოლოთ რაც უნდა ტანჯვა მომაძღვეს
გულში კი მედოს შენი „იმედი“.

ი. ხევისპირელი.

* *

ქარმა ვახრია კორიანტელში
მწვანედ შორბული წინდორი, ველი;
მუსრი მოავლო, გაანადგურა
თანთქა უფსკრულში საუნჯე მთელი.

გოგვის ზარს სცემდა, და თარეშობდა,
ემუქრებოდა ძიის არე მარეს...
დაბლიდან კენესა, ბოდვა, ვაება —
ბანად ერთოდა ჰანგებს მწუხარეს!..

ქონი შოიკლა.. ვაჰქრა, წაიდა...
ნიაფი მოჰქოის, დასცქერს მწუხარედ...
გულ-ამოსკენილი ნუგეჟის ბაღლად
ცრემლით მოსილი დახტირის მწარედ!..
ბერი იერონიშე.

გაგავითილუგი საქართველოს გეოგრაფიიდან

(შედარებითი მეთოდით)

საკლასო მასალო დამუშავებული მასწ.
მ. უჩიანავილის მიერ
შინაგალი

სამშობლოს სახელები. ჩვენს სამ-
შობლოს გარდა სახელი „საქართველოსი“,
რომლითაც ეხლა და წინადაც, უმეტეს
შემთხვევაში, ცნობილი იყო, უწოდებდნენ
კიდევ სხვა და სხვა სახელს, როგორც, მა-
გალითად: ივერია, კოლხიდა, გიორგია,
ლაზიკა. საინტერესოა ვიცოდეთ-საიდან წა-

რმოსდგა როგორც პირველი, ისე დანარჩენი სახელწოდებანი, იმიტომ რომ ყოველთვის ამა თუ იმ ქვეყნის სახელწოდება გამომსახველია ან ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობისა და ზედაპირის მოყვანილობისა, ან მასი ტეროგრაფიული შემადგენლობისა, ან მაჩვენებელია ხალხის ისტორიულ წარსულისა და სხვა; ერთი სიტყვით, ქვეყნის სახელი ნახევრად მიიწვამოვსა და ხოლმე მის შინაარსს, თუ სრულიად არა, მისი არსებობის რომელიმე მხარეს მიიწვამოვს.

ა) საქართველო. ჩვენი მატთან ამ სახელის წარმოშობას ასე ხსნის: ქართველთა მამათ მთავარი იყო ვინმე ქართლოსი; მას ერგო წილად ჩვენი ქვეყანა, მისი შთამომავლობიდან გამრავლდა ქართველი ხალხი და ამიტომ ქართლოსის ხვედრი მამული იწოდება საქართველოდო. მაგრამ ასეთი განმარტება არ არის მისაღები, რადგან თვით ქართლოსი არის არა ისტორიული, არამედ მითიური პიროვნება და მისი არსებობაც საეჭვოა. პირიქით, თვით სიტყვა „ქართლოსი“, უეჭველად, წარმომდგარა უნდა იყოს სიტყვიდან „საქართველო“. უფრო მისაღები იქნება ამ სიტყვის ახსნა ჩვენი წარსულის მეცნიერულ გამოკვლევების მიხედვით. მეცნიერების გამოკვლევით ჩვენ თავდაპირველად ცენტრალურ აზიიდან ვართ გადმოსულნი. ცენტრალურ აზიის ენით (სანსკრიტულით) სიტყვა „ქარ“ ანუ „ქარ“ ნიშნავს სახლს, სახლ-კარს; „ველი“ როგორც ჩვენ გვესმის - მიწდორს; „სა“ მი-

ჩემესას აჩვენებს. ამრიგად „სა - ქარ“ ართველო“- სამოსახლო ველი.

უკანასკნელად მეცნიერები ამტკიცებენ, რომ ქართველები იგივე ძველი ქალდეველნი არიანო. თუ ეს ასე არის, მაშინ ხომ სახელი „საქართველო“ იქნება იგივე „საქალდეველო“.

ბ). ივერია. ამ სახელს ეხლაღ ისევე ატარებს საქართველოს ეკლესია. ჩვენი მატთან ამ სიტყვასაც თავისებურად ხსნის. მისი სიტყვით, როდესაც ტახტის მამიებელმა ადერკიმ (1 საუკუნე) მოჰქალა ბუქბეოზულ ბრძოლაში მეფე არსოკი, მაშინ ხმა ჰყო: „იი! ვერიე!“ და აი აქედან წარმოსდგა სიტყვა „ივერია“ ო. მაგრამ ეს განმარტება ზღაპრულია, მიუღებელი და ნაყოფია ქრისტიანიზმის ზეგავლენისა მემატთანზე.

ამ სიტყვის სწორე ახსნას ეპოვებთ ისი; მეცნიერებაში. ქალდეველია ანუ მესოპოტამიელია ენით „ბერ“, „ვერ“, „შე“ ნიშნავს იმერს (ტრანს). მესოპოტამიელი იმატომ გვიხსენიებდნენ ომიერად, რომ მთებო ჰყოფდა ჩვენს სამშობლოს იმათ ქვეყნიდან და ჩვენ მათთვის ვიყავით ამ ქუთი იყერი ანუ ივერნი.

გ). კოლხეთი. ამ სახელს უწოდებდნენ ვანსაკეთებით დასავლეთ საქართველო. ეს სიტყვა დღესაც ხშირად იხსენიება მხოლოდ დასავლეთ საქართველოს ალანნიშნავს. კოლასკიურად (ძველი ბერძნების წინა მოადგილე ხალხი იყო) სიტყვა „კოლ“ „კალა“ ნიშნავს შემოღობილ ადგილს; „ოლა“ ტყიან ადგილს; მრავლობითი რიცხვი პირველი სიტყვისა იქნება „კოლ“ გ, „კალ“ გ; ამრიგად „კოლგიდა“ ანუ „კოლხიდა“ ნიშნავს შემოფარგლულ ტყიან ადგილს. ასეთი დახასიათება დასავლეთ საქართველოსი ხავსე-

ბით გამოძახატველია მისი სანამდევლია.

დ). გეორგია. ეს სიტყვა წმინდა ბერძნულია, რაიცა იმათებურად ნიშნავს მიწის მუწას, მზენელ — მთესველს; და ასეთ სახელს გვეძახდნენ ბერძნები იმიტომ, რომ ძველადგანვე ჩვენ ხვან თესვის მიმდევარნი ვიყავით და ჩვენი მოყვანილი პურით სარგებლობდნენ თვით ბერძნებიც ამ სიტყვიდან „გეორგია“ აწარმოეს შემდეგში თათრებმა სიტყვა „გურჯისტან“ და რუსებმა სიტყვა „გრუზია“.

ე). ლაზიკა. ეს სიტყვა სვანური წარმოშობისაა და უნდა იყოს ნაწარმოები სიტყვიდან „ზანი“ რაიცა ნიშნავს მეგრელს. თავსართი „ლა“ ქვეყნის აღმნიშვნელი ნაწილია; ამრიგად „ლა — ზანი — კა“ ანუ „ლაზიკა“ ნიშნავს „სახანოს“ ე. ი. სამეგრელოს.

ამ სახელს იმიტომ უწოდებდნენ დასავლეთ საქართველოს, რომ ეხლანდელი გურია, იმერეთი და დასავლეთ საქართველოს დიდი ნაწილი ძველად დაახლებული იყო მეგრელებით ანუ უკეთ მეგრულ — ლაზური ტომით.

1 ნაწილი.

საქართველოს ფიზიკური შიშისილჯაბ

გეოგრაფიული მდებარეობა. საქართველო მდებარეობს აზიის დასავლეთ კუთხეში, სახელდობრ სამხრეთ ანუ ამიერ კავკასიაში და უჭირავს ამ უკანასკნეოის ცენტრალური და დასვლეთი ნაწილი. ხმელეთის საზღვარი დასავლეთისკენ აღწევს სოქის ოლქამდე (ჯ. ქეთი) — 58° აღმოსავლეთ სიგრძისა; აღმოსავლეთის მხრივ ისაზღვრება აზერბაიჯანის მიწა წყლით (რუხისა და გაჩხის მარები) და აღწევს

თითქმის 65° აღმოსავლეთ სიგრძისა; ჩრდილოეთისკენ მიდის 43° ჩრდილოეთის სივანისა და აქ ბუნებრივ საზღვარი, კავკასიონის მთაგრეხილი ჰყოფს საქართველოს ჩრდილოეთის მეზობელ ხალხთაგან (ყუბანისა და თურვის ყაზახობა, მთიელები, დაღესტანი); სამხრეთის საზღვრის უკიდურესი ხაზი აღწევს თითქმის 40° ჩრდილო სივანისა; ამ მხრიდან მოსაზღვრედ ითვლება სომხეთი და ოსმალეთი (სამხრეთ დასავლეთით).

სივრცით საქართველო პატარა სახელმწიფოდ ითვლება. სიგრძე მისი, აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ უდრის დაახლოვებით 450 ვერსტს, სიგანე ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ — 200 ვერსტს. მთელი ტერიტორიის სივრცე დაახლოვებით უდრის 70.000 კვად. ვერსტს.

საქართველოს ტერიტორიის სიგრძის შედარება სხვა და სხვა სახელმწიფოების სივრცესთან:

ინგლისი (ახალშენებით) უდრის	537.000	კვ. მილს
ყოფილი რუსეთი	400.000	„ „
ჩინეთი	200.000	„ „
შეერთებული შტატები	174.000	„ „
საფრანგეთი, ახალშენები	117.000	„ „
გერმანეთი	57.000	კვ. მილს
საქართველო	1.600	„ „
აზერბაიჯანი	1.500	„ „
სომხეთი	800	„ „

საქართველოს შემადგენელი ნაწილები. საქართველო სურამის მთებით ბუნებრივად იყოფა ორ დიდ ნაწილად: აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოდ. თვითუფლი ამათვანი, ბუნებრივი სხვადა-

სხვაობის, მოსახლეობის ან ისტორიულ თუ ეკონომ-ურ პირობების მიხედვით, თავის მხრივ ნაწილდება სხვა სხვა კუთხეებათ. აღმოსავლეთ საქართველოში შედის: ქართლი, კახეთი, ქიზიყი, საინგილო, თუშ-ჯუშუგ-ხევსურეთი. დასავლეთ საქართველოს ნაწილებია: იმერეთი, გურია სამეგრელო, სვანეთი, აფხაზეთი. ხოლო მესხეთი, ჯავახეთი, ერუშეთი, აჭარა-ქობულეთი შეადგენენ სამხრეთ საქართველოს

საზღვრები. საზღვრებს ყოველი სახელმწიფოსათვის აქვს დიდი მნიშვნელობა, როგორც პოლიტიკურად, ისე ეკონომიკურად და მათი მნიშვნელობა განიზომება არა მარტო თვით საზღვრების ფიზიკურ თვისებებით, არამედ მიზობელ სახელმწიფოების პოლიტიკურ, ნიეთიერ და გონებრივ მდგომარეობითაც. საქართველოს გარს ახვევია არა ისეთი მაღალი კულტურის მატარებელი ერები, რომ მათი თავდასხმისაგან თავსებით უზრუნველყოფილი იყოს ჩვენი ქვეყანა; ამიტომ ჩვენთვის საზღვრებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. მაგრამ, საბედნიეროდ, საქართველოს საზღვრები, თავისი ფიზიკური თვისებების წყალობით, წარმოადგენენ უმეტეს შემთხვევაში, შემოუვალ ბუნებრივ კედელს, რომლის დაცვა-გამაგრებაზედ სახელმწიფოს დიდი ენერჯის დახარჯვა არ დასჭირდება.

საქართველოს საზღვრების მომეტებული ნაწილი ხმელეთს უჭირავს; ზღვის საზღვრები შეადგენენ მხოლოდ 1/6 ნაწილს. ხმელეთის საზღვრის ხაზს დახლოვებით აქვს

1500 ვერსტი სიგრძე, ზღვისს კი 350 ვ.

ქვეყნის ეკონომიურ განვითარებისთვის და სავაჭრო-სამრეწველო ურთიერთობისთვის ზღვის საზღვრებს ყოველთვის უპირატესობა აქვთ ხმელეთის საზღვრებთან და რამდენადაც ზღვის ნაპირი დიდია და ახლოა და ხშირი ზღვისკენ გასავალი, მით უფრო ხელსაყრელია ქვეყნისთვის. ამ მხრივ საქართველოც არ არის ცუდი პირობებში. თუმც ზღვის სანაპირო ხაზი დიდი არ არის და მხოლოდ 1/6 შეადგენს მთელი მოსაზღვრე ხაზისას, მაგრამ მთელი ტერიტორიის სიგრძესთან შედარებით არც ისე პატარაა.

ყოფილ რუსეთში 1 მილ ზღვის კიდეზე მიღს 62 კვ. მილლი მთელი ტერიტორიისა

დასავლეთ ევროპაში საერთოდ —	—	39	კვ. მილლი
საქართველოში —	—	37	„ „
საფრანგეთში —	—	22	„ „
ინგლისში —	—	6	„ „
იტალიაში —	—	5	„ „
საბერძნეთში —	—	3	„ „

შავი ზღვის კიდეების მოხაზულობა იმდენად ხელს არ უწყობს ბუნებრივი ნავთსადგურების წარმოშობას. ზღვის საზღვრები სწორე ხაზს წარმოადგენენ; მიხვეულ მოხვეული ნაპირები ნაკლებად არის, ცოტა არის ღრმად შესული უბეები და ამიტომ ნავთსადგურებიც ცოტა არის. საუკეთესო ნავთსადგურად ითვლება ბათომი. აქ თავისუფლად შედიან ოკეანეს დიდი გემებიც და პირდაპირ უდგებიან კიდეებს. კარგი ნავთსადგურია აგრეთვე სოხუმიც, მაგრამ იგი უფრო დაბლა სდგას ბათომზე და გემები უახლოვდებიან კიდეებს მხოლოდ 1/2 ვერსტის მანძილზე და ხელოვნურ

ნავთსადგურად ითვლება ფოთი, მაგრამ აქაც ცუდი ამინდის დროს ვერ შესძლებენ ხოლმე გემები შესვლას.

ზედაპირის მოყვანილობა. საქართველო მთავარიანი ქვეყანა არის. აქ იშვიათია თვალ-უწვდენელი ვაკეები და უფრო სქარბობს უმაღლესი და საშუალო სიმაღლის მთიანი ადგილები.

საქართველოს ტერიტორია სიმაღლის მიხედვით ზღვის დონედან შეგვიძლიან ასე გავანაწილოთ:

0—500	ფუტის სიმაღლიანი ადგილები შეიცავს 10% მთელი ტერიტორ.
500—2000	— — 13% „ „
2000—4000	— — 20% „ „
4000—6000	— — 25% „ „
6000 ზევით	— — 32% „ „

მთები. ჩრდილოეთის საზღვარზედ აღმართულია ბუმბერაზი მთა — კავკასიონის მფაგრებილი, რომლის საშუალო სიმაღლე უდრის 3 ვერსტს. ამ მთას აღმოსავლეთ-სამხრეთისკენ აქვს მიმართულება და სხვა და სხვა ალაგას სხვა და სხვა სახელი აქვს. მაგალითად, მის დასავლეთის ნაწილს ეწოდება აფხაზეთის მთა, შემდეგ სვანეთის მთები; აღმოსავლეთის საზღვართან მას ლეკის მთას უწოდებენ. თხემი ამ ქედისა მუდმივ დაფარულია თოვლითა და მყინვარებით; და ასეთივე მარადის თოვლიანი მწვერვალი მრავალი აქვს კავკასიონს, რომელთა შორის აღსანიშნავია იალბუზი, მყინვარი (ყაზბევი), ბორბალო.

მთავარ ქედთან გამოდის ორი უმაღლესი შტო: ლიხის მთა; რომელიც ორ

ნაწილად ჰყოფს საქართველოს და ცივგამბორის მთა. სურამის ანუ ლიხის მთა პირველად მიიმართება სამხრეთ-დასავლეთისკენ, ხოლო როცა იგრ ახალციხის მაზრას გაუვლის, ბორჯომის მახლობლად, უხვევს დასავლეთისკენ, შემდეგ უერთდება აჭარის მთებს და აღწევს თითქმის შავს ზღვამდე.

ლიხის მთიდან, იქ სადაც იწყობა აჭარის მთები, შტოდ გამოდის და სამხრეთისკენ მიიმართება არსიანის მთა, რომელიც ჰყოფს აჭარა ქობულეთს მესხეთ-ერუშეთისაგან.

ბორჯომის ხეობაში, იქ, სადაც მტკვარი ერთბაშად ჩრდილოეთ-აღმოსავლეთისკენ იბრუნებს პირს, იწყობა თრიალეთის და ჯავახეთის მთები. ეს მთა, თავისი მთავარი ქედით მიიმართება ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ, ხოლო აქედან გამოსულ მრავალი შტოებით მოყვანილი აქვს მთელი ქვემო ქართლი და ჯავახეთი. სამხრეთის საზღვარს უდარაჯებს სომხეთის მთა და ბამბაკის ქედი, რომელიც იცავს და უჭირავს გზა შუაგულ ქართლისკენ მომავალი.

მეორე დიდი შტო კავკასიის მთავარ ქედიდან რომ გამოდის, არის ცივგამბორის მთა, რომელიც ჯერ სამხრეთისკენ და შემდეგ სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ მიიპარობა; ქვევითა და ქვევით იგი თანდათან დაპოვდება და სწყდება იქ, სადაც აღიანანი და იორი უახლოვდებიან ერთმანეთს. მთა დასავლეთისკენ იწყობა ეს შტოები, რომელნიც კავკასიონის იულებრივად დასავლეთისკენ

სიის მთავარ ქედიდან გამოდიან ან მისვან დამოუკიდებელივ დვანან ვაცილებიჲ დაბლნი აიიან. აქ ვერ ვხვდებით ისეთ მალალ და მარადის თოვლიან მწვერვალებს, როგორც მთავარ კავკასიონის მთავარეხილზე.

ზღვები, ტბები და მდინარეები.

საქართველოს დასავლეთით სანჯღვრავს შავი ზღვა; ეს ერთად ერთი ახალი გასავალია, რომელიც საშუალებას აძლევს სახელმწიფოს პირდაპირი დამოკიდებულება იქონიოს დასავლეთ ევროპასთან და საერთოდ კულტურულ კაცობრიობასთან. მის კიდევებს ჩვენს საზღვრებში ამშვენებს ისეთი პირველხარისხოვანი და დიდი მნიშვნელობის ნავთ-სადგური, როგორც არის ბათომი, რომელსაც სამართლიანად უწოდებენ ამიერ-კავკასიის თვალს.

ტბები საქართველოში, ისევე როგორც კავკასიაში საზოგადოდ, ნაკლებად მოიპოვება. ერთად ერთი ჯაფახეთია, სადაც უფრო შეხვდებით პატარ-პატარა ტბებს. ამათში აღსანიშნავია ფარაენის ტბა და ქართლში — ბაზალეთის ტბა, რომელიც არავის დასავლეთით მდებარეობს.

სამაგიეროდ, ღარიბი არ არის საქართველო მდინარეებით. მარადის თოვლიანი კავკასიონის მთავარეხილი, მისი შტოები და მრავალი მთები, რომლითაც მოფენილია ჩვენი ქვეყანა, საკმაო სინესტეს შეუცავენ მდინარეების წარმოსაშობად.

საქართველოს მდინარეებს ორი უმთავრესი მიმართულება აქვთ: აღმოსავლეთისკენ კასპიის ზღვაში და დასავლეთისკენ შავს ზღვაში. განსაკუთრებული მიმარ-

თულება აქვს ქოროხს. რომელიც სამხრეთ დასავლეთიდან წამოსული სამხრეთ-აღმოსავლეთით ერთვის შავს ზღვას.

უდიდესი მდინარე, როგორც სიგრძით, აგრეთვე წყლის რაოდენობით, არის მტკვარი, რომელსაც სათავე აქვს კოლაში (არდაგანის ოლქი). პირველად იგი მიიმართება ჩრდილოეთისკენ, შემდეგ, ბორჯომის მახლობლად, უხევს ჩრდილო-აღმოსავლეთისკენ და შემდეგ აღმოსავლეთის მიმართულებას ინახავს შესართავამდე. აღსანიშნავია, რომ მტკვარში იკრიბება ყველა მდინარეები აღმოსავლეთის დასაქანზე და მტკვრის ბასეინი შეიცავს მთელ ამიერ-კავკასიას, გარდა მისი დასავლეთი და სამხრეთ-დასავლეთ ნაწილისა. მტკვრის შემდინარეთაგან აღსანიშნავია მარცხენა მხრიდან: ფოცხოვის წყალი, ლიახვი, ქსანი, არაგვი და ალაზანი თავისი შემდინარეთი — იორით ანუ მცირე ალაზნით. მარჯვენა ნაპირიდან მტკვარს შეერთვის ორი უმთავრესი მდინარე: ალგეთი და ხრამი (ანუ ტკია); ამ უკანასკნელის შემდინარება ბერდუჯი მდებარეა ანუ ბორჩალო).

მეორე დიდი მდინარე საქართველოში და უმთავრესი დასავლეთ საქართველოში არის რიონი, რომელიც გამოდინარეობს ფაზის მთიდან, პირველად მიიმართება სამხრეთ-დასავლეთისკენ, შემდეგ სამხრეთისკენ და იქ, სადაც მას მდინარე ყვირილა ერთვის, იღებს დასავლეთის მიმართულებას შესართავამდე. რიონის შემდინარეთაგან მოსახსენებელია მარჯვენა მხრიდან: ტენურა და ცხენის წყალი, მარცხ-

ნიდან ყვირილა. გარდა რიონის ბასეინისა დასავლეთ საქართველოში ბევრია მდინარეები, რომელნიც კავკასიონის მთებიდან პირდაპირ ჩამორბიან შავ ზღვაში. ამათგან აღსანიშნავია რიონის ჩრდილოეთით ხოპი, ენგურა, რომლის კიდეები ძველადგანვე განთქმული იყო სვანეთის მთებიდან ჩამონარეცხი ოქროთი. შემდეგ კოდორის წყალი და მდინარე ბზიბა, აფხაზეთის საზღვარზედ. რიონის სამხრდით შავს ზღვას ერთვის გურიის მდინარე სუფსა.

მესამე შესანიშნავი მდინარე საქართველოში არის კოროზი, რომელსაც სათავე აქვს ოსმალეთში, მიიმართება ჩრდილოეთისკენ, შემდეგ ჩრდილო დასავლეთით და იქ, სადაც მის აჭარის წყალი ერთვის უხვევს დასავლეთისკენ და ჩადის შავს ზღვაში, მათომის მახლობლად. მის შემდინარეთაგან აღსანიშნავია აჭარის წყალი, შაქხლის წყალი და ივერ ხევი, რომელნიც მარტენა ნაპირიდან შეერთვიან კოროზს.

მდინარეების მნიშვნელობა. მდინარეებს დიდი მნიშვნელობა აქვთ ხალხთა ცხოვრებაში. ხალხი ყოველთვის ეტანებოდა და ირჩევდა სამოსახლოდ მდინარეების ნაპირებს, რადგან აქ უფრო მოიპოვება საუკეთესო ნიადაგი ნეურნობისათვის და საყოფიერებელ შემწეობი ბუნებრივი პირობები აღამიანის ცხოვრებისათვის. მდინარეებივე შეადგენდნენ მიმოსვლის საუკეთესო საშუალებას ხალხთა ურთიერთობაში და აღებ-მიცემაში.

ნაოსნობისათვის საქართველოს მდინარეების მომეტებული ნაწილი არ ვარკა,

რადგან იგინი მომდინარეობს შთავარიანადგილებზე და თანაც დიდის სისწრაფით. ნაოსნობისათვის გამოსადეგია მხოლოდ მდინარე რიონი, ისიც მარტო პატარა მანძილზედ (ორნაპირიდან შავ ზღვაშდე).

თუმცა დღევანდელ ხანაში, როცა ესაქმი მოსვლის საშუალებანი გაუმჯობესებულია, ჩვენი მდინარეები ამ დანიშნულებისათვის აღარ არიან საჭირონი, მაგრამ ძველად საქართველოში, როგორც შთავარიან ქვეყანაში, მდინარეებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ ხალხის ურთიერთობაში და აღებ-მიცემაში. როგორც ძველ ისტორიულ წყაროებიდან სჩანს, საქართველოზედ გადიოდა დიდი სავაჭრო გზა: მტკვრე აზიიდან შავი ზღვით ფაზისამდე (ოთი), ფოთიდან რიონით ყვირილამდე, აქედან ხმელეთით მტკვრამდე. მტკვრით კასპის ზღვაში და აქედან აზიის ძველ ქვეყნებში: სპარსეთ - ავღან ინდოეთში.

თუ ჩვენი მდინარეები ნაოსნობისათვის არ ვარგანან, სამაგიეროდ ისინი სხვა მზრივ წარმოადგენენ დაუფასებელ სამდიდრეს სახელმწიფოსათვის. და ეს არაა შანი ჰიდრაულიური ძალა („თეთრი ნაპირი“) თანამედროვე წარმოებაში პირველი ალაც იქერს „თეთრი ნაპირი“, როცა აქ იაფი და საუკეთესო საშუალება მანქანებას ანამოძრავებლად, სინათლის და სითბოს მოაყვამად. ჩვენი გიჟმაყი მდინარეები კი, მრავალი ჩანჩქერებით, უზომო ენერჯიას შეიცავენ და მადნეულობითა და შიკაკლ დასამუშავებულ მასალით მდიდარ საქართველოსათვის დიდ სიკეთეს წარმოადგენენ

საქართველოში წყლის ენერჯის რაოდენობა დაახლოებით 3 მილიონ კუბურ სანტიმეტრს უდრის.

საქართველოს ჰავა. ჰავა საქართველოში საერთოდ ზომიერია, რადგან ჩვენი ქვეყანა მდებარეობს ზომიერ სარტყელზე (40° და 43° შორის ჩრდილო სივრცის), თბილი ზოლი ვადის საქართველოზე და გარდა ამისა, თვით ზედაპირის მოყვანილობაც ისეთია, თითქოს განგებ იყოს შექმნილი ბუნებრივი პირობები იმისთვის, რომ ცხელი ქვეყნების და სუსხიანი ჩრდილოეთის ჰავა აქ შეზავებულ ყოფილიყო. კავკასიონის ბუნებრივი მთები იფარავს საქართველოს ცივი ქარებისაგან და შეუმჩნევლად ხდის მისთვის ჩრდილოეთის სიხლოვეს. საშუალო ტემპერატურა სხვა და სხვა დაბლა მდებარე ადგილებისა იანვარში არ ეშვება 0° ქვევით.

ჰავა საქართველოში იცვლება დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ. აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს გამყოფი სურამის მთები ჰავის მიხედვითაც ჰყოფს საქართველოს ორ დიდ რაიონად.

დასავლეთი საქართველო, სამივე მხრივ მთებით შემოზღუდული, ახდლია მხოლოდ დასავლეთის მხრიდან და სავსებით ექვემდებარება ზღვის გავლენას. ამიტომ დასავლეთ საქართველოს აქვს თბილი და ნესტიანი ეს წ. ზღვის ჰავა — ზამთარში თბილი, ზაფხულში გრილი. ზღვის პირას მდებარე ადგილებში ზამთრის საშუალო ტემპერატურა აღემატება 5°, 6°, მაშინ როდესაც ზაფხულის საშუალო ტემპერა-

ტურა იმავე ადგილებში არ აღის 23°, 24° ზევით. წლიური საშუალო ტემპერატურა კი მთელ დასავლეთ საქართველოსთვის იქნება 15°. დასავლეთ საქართველოს ჰავა, უფრო კი შავი ზღვის სანაპიროებისა, ეკუთვნის ხმელთა-შუა ზღვის ნაპირების ჰავის ტიპს და აქ თავისუფლად ხარობენ სუბტროპიკული მცენარენი და ზოგიერთი ტროპიკული მცენარეც კი.

აღმოსავლეთ საქართველოში, წინააღმდეგ დასავლეთ საქართველოსი, ხმელი ჰავაა — კონტინენტალური — ზამთარში ცივი და ზაფხულში ცხელი. თუმცა შავი ზღვიდან აღმოსავლეთი საქართველო დიდი მანძილით არ არის დაშორებული, მაგრამ ერთის მხრივ სურამის მთები თავისუფლად არ უშვებენ დასავლეთის თბილ და ნოტიო მოჰდინარობას, ხოლო მეორე მხრივ, აღმოსავლეთიდან თავისუფლად მოქმედობს შუა აზიის მშრალი ქარები; ამიტომ აქ შავი ზღვის გავლენა სუსტდება და ეს კუთხე უკურო მეტად ემორჩილება აღმოსავლეთის გავლენას. ამიერ საქართველოს ჰავა წააგავს ცენტრალურ აზიის ჰავის ტიპს. დამახასიათებელია ხშირი ცვლებადობა ტემპერატურისა აღმოსავლეთ საქართველოში; იქ სადაც ზამთარში 10°, 15° სიცხე იშვიათი არ არის, ზაფხულში სიცხე ხშირად აღის 25, 30 გრადუსამდე. წლიური საშუალო ტემპერატურა აღმოსავლეთ საქართველოში საზოგადოდ უდრის 10°

საშუალო ტემპერატურა საქართველოსა და მის მეზობელ სახელმწიფოების უმთავრეს ქალაქებსა და პუნქტებში.

	იანვარში	მათათვეში	წლიური
ბათომში	6,4 ⁰	23,5 ⁰	14,5 ⁰
ფოთში	5,2 ⁰	23,7 ⁰	14,5 ⁰
სოსხუში	5,1 ⁰	24,1 ⁰	14,3 ⁰
ქუთაისში	4,4 ⁰	24,4 ⁰	14,7 ⁰
ოზურგეთში	4,4 ⁰	23,0 ⁰	13,8 ⁰
ჭიათურაში	1,8 ⁰	23,9 ⁰	13,2 ⁰
ზაქათალაში	0,5 ⁰	24,8 ⁰	13,0 ⁰
თბილისში	0,1 ⁰	24,2 ⁰	12,6 ⁰
წინანდალში	0,1 ⁰	23,0 ⁰	12,0 ⁰
გორში	-2,1 ⁰	22,8 ⁰	10,9 ⁰
ბორჯომში	-2,6 ⁰	20,4 ⁰	9,3 ⁰
აბასთუმანში	-6,4 ⁰	17,5 ⁰	6,4 ⁰
ახალქალაქში	-7,8 ⁰	17,2 ⁰	5,7 ⁰
კობში	-8,5 ⁰	13,9 ⁰	3,5 ⁰
ჯვრის უღელტეხილზე	-12,0 ⁰	11,5 ⁰	-0,1 ⁰
ბაქოში	3,2 ⁰	25,7 ⁰	14,4 ⁰
განჯაში	0,1 ⁰	24,9 ⁰	12,7 ⁰
ერევანში	-6,4 ⁰	25,3 ⁰	11,5 ⁰
გუმბრში	-9,7 ⁰	19,9 ⁰	6,6 ⁰

ატმოსფერის ჩამონალექის რაოდენობის მიხედვითაც დიდი განსხვავებაა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს შორის. ცის ნაძს საზოგადოდ საქართველოში იძლევა შავი ზღვა და ამ უკანასკნელზედ არის დამოკიდებული ატმოსფერის ჩამონალექის რაოდენობაც: რამდენადაც ადგილი ახლო მდებარეობს შავს ზღვაზედ, იმდენად იქ მეტია ატმოსფერის ჩამონალექი და რამდენადაც ადგილი დაშორებულია ზღვისაგან, იმდენად იქ ნაკლებია ცის ნაძიც. ასე, მაგალითად: ბათომში, რომელიც ზღვის კიდზედ მდებარეობს, ატმოსფერის ჩამონალექის წლიური რაოდენობა უდრის 2529 მილიმეტრს; ოზურგეთში, რომელიც უფრო მოშორებით არის ზღვაზედ 2048 მილ.; შემდეგ, ქუთაისში 1374 მილმ.; ჭიათურაში — 992 მილმ. და ასე შემდეგ. საერთოდ დასავლეთი საქართველო ატმოსფერის ჩამონალექის დიდი რაოდენობით იშვიათი კუთხეა; სამივე მხრიდან მთებით შემოზღუდული, მთლად ზღვის გავლენის ქვეშ იმყოფება და ქარბად იზიდავს მისგან სისველეს.

სურამის მთების აღმოსავლეთით კი უეცრად იცვლება ატმოსფერული პირობები. სურამის ქედი თავისუფლად არ უშვებს შავი ზღვის სისველეს და ამიტომ ატმოსფერის ჩამონალექიც აღმოსავლეთ საქართველოში გაცილებით ნაკლებია. რამდენადაც დასავლეთ საქართველოს მოქარბებული აქვს ცის ნაძი და იქ ნიადაგი მუდამ სველია, იმდენად დმოსავლეთი საქართველო მოკლებულია ასეთ სიუხვეს და აქაური ნიადაგი ხშირად განიცდის ვვალკას. ისიც აღსანიშნავია, რომ თუ დასავლეთ საქართველოში მეტი ატმოსფერის ჩამონალექი უფრო შემოდგომობით იცის (ნოემბერში), აღმოსავლეთ

საქართველოში მეტია უფრო — გაზაფხუ-
ლობით (მაისში).

წლიური რაოდენობა ატმოსფეროს ჩაჰო-
ნალექისა უდრის:

ბათომში	2529	მილიმეტრს
ოზურგეთში	2048	„
ფოთში	1626	„
ქუთაისში	1374	„
სოხუმში	1292	„
ჭიათურაში	992	„
ზაქათალაში	972	„
თელავში	760	„
დუშეთში	614	„
სიღნაღში	589	„
გორში	495	„
თბილისში	497	„
ბაქოში	228	„
ვანჯაში	255	„
გუმბარში	409	„
ერევანში	316	„

საუკეთესო პირობებს იძლევა ხალხის ჯან-
მრთელობისათვის. იშვიათია კუთხე, რომ
ისე მკიდარი იყოს სამკურნალო-სააგარაჯო
ალაგებით, როგორც საქართველოა. აქ
ნაკლებია ისეთი სნეულებანი, რომელნიც
მხოლოდ ჰავაზედ იყვნენ დამოკიდებულნი,
გადრა ზოგიერთ დაბლობ და ქობიან
ალაგებრს, სადაც ადგილობრივ სენად ით-
ვლება მჭლარია. ასეთია, მაგალითად:
რიონის სანაპიროები შესართავთან, ყარა-
იაზის სანახები და ზოგიერთგან ალაზნის
სანაპიროები

ნიადაგი. ნიადაგის წარმოშობაში, სხვა
ფაქტორებთან ერთად, დიდი გავლენა აქვს
ჰავას. თბილ და ნესტიან ალაგებში, სადაც
დაჟანგებითი პროცესი მძლავრად სწარ-
მოებს იქ ნიადაგს წითელი, ჟანგის ფერი
ეძლევა; ხოლო იქ, სადაც ჰავა კონტი-
ნენტალურია და მშრალი ქარი დაშლის
პროცესს აწარმოებს — დროთა განმავლო-
ბაში ნიადაგი იფიტება და აქ ვხვდებით
უმთავრესად თიხნარს და ქვიშიან ნიადაგს.
ასეთ მოვლენას ვამჩნევთ საქართველოს
ნადაგშიაც.

დასავლეთ საქართველოში, სადაც ნია-
დაგში ქარბად არის ყოველთვის სისველე
და როგორც დაჟანგებითი, ისე გახრწნის
პროცესი მძლავრად სწარმოებს, ვხვდება
უმთავრესად წითელი ფერის მიწა. ზღვის
სანაპიროები და ვანსაკუთრებით კი აჭარა
ქობულეთის სანახები, დაფარულია წითე-
ლი ფერის მიწით, ხოლო რიონის ველი-
ნოყიერი ლიონით, რომელსაც აგრეთვე
ჟანგის ფერი აქვს, მხოლოდ უფრო ბაცი.
სინესტის გამო ბლომად მოიპოვება დასა-
ვლეთ საქართველოს ნიადაგში აგრეთვე
ფუფუსი (დამპალა) რომელიც ეწევიან
ცხოველების და უმთავრესად, მცენაოეების
გახრწნილ ორგანიზმების ნაწილებს და
მოშავო ფერი აქვს.

საქართველოში, მიუხედავად ჰავის სხვა
და სხვაობისა, საუკეთესო პირობებია ჰი-
გიენის თვალსაზრისითაც. საერთოდ ჯან-
სად ალაგებელ ითვლება მაღლობი ველები
და საშუალო სიმაღლის მთიანი ალაგები,
სუფთა მთის ჰაერით და საქართველოც,
რომლის ტერიტორიის 77 პროცენტს
2000 ფუტზედ მაღალი მდებარეობა აქვს,

აუმოსავლეო საქართველოში კი, სადაც ჰავა კონტინენტალურია, ვვხვდებთ უმაღლესად თიხიან — ქვიშიანი ნიადაგს; თუმცა აქაც, მოიპოვება ზოგჯერ დაბლობ ადგილებში, მდინარეების ნაპირზედ, ლიოსის მაგვარი, ღამით დაფარული ალაგები, მაგრამ თავისი ნაყოფიერებით ვერ შეედრებიან დასავლეთ საქართველოს დაბლობ ალაგების ნოყიერ ნიადაგს, სადაც ტროპიკული მცენარეებაც კი თავისუფლად ხარობენ.

ნიადაგი სიმაღლის მიხედვითაც იცვლება. ლიოსისა და თიხიანიდან რომ ზევით ავყევთ პირველად შევხვდებით წაბლის ფერ ნიადაგს, ამაზედ ზევით — შავი ფერისას, შემდეგ იწყობა ე. წ. ტყის ნიადაგი და ბოლოს მყინვართა სამეფოში — ტუნდრა, რომელიც ხასიათდება იმით, რომ ნიადაგში მოიპოვება გაუხრწნელ ცხოველების და მცენარეების ორგანიზმება.

საქართველოს ფლორა და ფაუნა. მცენარეთა საზღვრო საქართველოში მდიდარი და მრავალფეროვანია. ნიადაგის, კლიმატური პირობების და ზედაპირის მოყვანილობის მიხედვით საქართველოს მცენარეულობა წარმოადგენს დაუსრულებელ მრავალსახეობას: დაწყობილი თვალწარმტაც ველებიდან, სამხრეთის მდიდარი მცენარეულობით, ვიდრე მყინვართა სამეფოს მარადის თოვლიან მწვერვალებამდე. საქართველოს პატარა სივრცეზედ ხარობს თითქმის მთელი ევროპის და აზიის უდიდესი ნაწილის ფლორა. განსაკუთრებით მდიდარია მცენარეულობით, ისტორიულადაც ცნობილი კოლხიდა, სადაც ტროპიკული მცენარეებიც კი თავისუფლად ხარობენ და რომელსაც სამართლიანად უწოდებენ „საქართველოს ბრაზილიას“, „სამოთხის ველს“ (რიონის ველი).

მცენარეულობის სხვადასხვაობა დამო-

კიდებულია ტოპოგრაფიულ პირობებზედ: რამდენადაც ადგილი მაღლა მდებარეობს ზღვის დონიდან, იმდენად იქ მცენარეულობა ღარიბი და ერთფეროვანი. ამის მიხედვით მცენარეთა სამეფო შეიძლება დაიოს რამდენიმე ზოლად სურტყლად. ქვეითა სარტყელს, რომელიც აღწევს საშუალოდ 3500 ფუტამდე ზღვის დონიდან, ეწოდება **სუბ-ტროპიკული** სარტყელი; იგი ხასიათდება მარადის მწვანე მცენარეებით, სამხრეთის მრავალფეროვან ფლორით. წარმომადგენლებად ამ სარტყლის მცენარეებისა არიან: წაის ბუჩქი, ლიმონი, ფორთოხალი, ზეთის ხილი, დაყნა (დასავლეთ საქართველოში), ბამბა ბრინჯი, ვაზი, ლეღვი. **სუბ-ტროპიკული** სარტყლის ზევით, ვიდრე 5000 ფუტის სიმაღლემდე, მისდევს სარტყელი **სახილე მცენარეებისა**, რომელთაც ზამთარში სცივვით ფოთოლი. ამ სარტყლის ზევით იწყობა **საპურე მცენარეების** სარტყელი და აღწევს საშუალოდ 7000 ფუტამდე; შემდეგ მოსდევს **ტყეების ზოლი**, საშუალოდ 8500 ფუტამდე და ტყეების სარტყლის ზევით იწყობა ზოლი ალპიური სამოვრებისა — დაახლოვებით 10,000 ფუტამდე, ე. ი. მარადის თოვლიან ზოლის საზღვრამდე.

იგივე თქმის **საქართველოს ფაუნაზე**. როგორც მცენარეულობა, ისე ცხოველთა სამეფოც საქართველოში მრავალგვარია. აქ სცხოვრობს თითქმის ყველა სარტყლის ცხოველების წარმომადგენელი. ჩრდილოეთის ცხოველების — დათვისა და ირმის გვერდით ხშირად ვხვდებით თბილ ქვეყნების ცხოველებს — ფოცხვერს, აფთარს და შეიძლება ვეფხესაც. საქართველო, თავისი ხელუხლებელ ბუნების, მიუვალ მთიან ალაგების წყალობით მდიდარია, შედარებით დასავლეთ ევროპასთან, გან-

საკუთრებით გარეული ცხოველებია: აქ ჯერ კიდევ შენახულია ისეთი იშვიათი ჯიშის ცხოველები, როგორც არის ჯი-რანი, ქურციკი, ჯიხვი და სხვა.

წარმომადგენლებად თბილი ქვეყნების ცხოველებისა საქართველოში შეიძლება ჩაითვალოს: შინაურ ცხოველებიდან კამეჩი და ვირი; გარეულ ცხოველებიდან ფოცხვერი, გარეული კატა, აფთარი; მთის ცხოველების წარმომადგენლად ჯიხვი, ქურციკი, შველი. მტაცებელ ფრინველებიდან — არწივი, შევარდენი, ორბი, სვავი; ფრინველებიდან შესამჩნევია აგრეთვე ხობობი (ქათმის ჯიშიდან) და მრავალი ქაობის ფრინველი (დასავლეთ საქართველოში). თევზის კლასიდან შესამჩნევია კალმახი, რომლის გამრავლებასაც ხელს უწყობს საქართველოს მდინარეების სიჩქარე.

დ-ხკენ. ამ რიგად, საქართველოს ფიზიკურ მიმოიღვივებთან და ამ ხრივ ჩვენი ქვეყნის მდებარეობის გეოგრაფიისა და მცხოვრებელ სახლწარმოებთან ნათლად სჩანს, რომ ფიზიკური პირობები ჩვენი ქვეყნისა სავსებით ხელის შემწყობია კულტურული ცხოვრების განსაფითარებლად: საქართველო გეოგრაფიული მდებარეობა და საზღვრებს მოხაზულობა, ღია კარები ზღვისკენ, ზომიერი ჰავა, ნაყოფიერი ნიადაგი, მდიდარი ფლორა და ფაუნა — ყველა ეს ისეთი პირობებია, რომელშიაც სახელმწიფოს შეუძლიან ადვილად განავითაროს კულტურულ — ეკონომიური ცხოვრება, თუ გონივრულად გამოიყენებს ყველა იმ სიკეთეს, რაც მისთვის ბუნებას უხვად მიუნიჭებია.

(შემდეგი იქნება).

ღაღადისი.

ჩუ! დაჰკრა ცისკრის ზარმა... ხმა გოისჰა მუსიკისა...

ალივლივდა ცის სივრცეში ლურჯი ტალღა ვთერისა...

აჰ, რაკრაკებს სირთა ჰანგი, წარმომშობი ტკბილ გრძნობისა!

მანთვის სმენათ ვადიქცია აწ წიადი ბუნებისა...

ოჰ, სიცოცხლევ, შენ ხარ ქვეყნად ტკბილი ყრმობის ეინის მკვრელი
ღამაში ხარ, მშენიერო, სიკეკლუტით მომხიბვლელი!..

* * *

სევდის მეფის სასიკვდილოთ ცის მნათობი ხმაურდება.

ბრძოლის ჰანგი სიბნელესთან - დედამიწას ეფინება!..

და თენდება.. მზე ამოშუქს, ათასფერად მოვლავარე,

უკვდავ არსსა სიყვარულით ეღიმება არე-მარეს

ცის წიადი გვიშობს მარად საიდუმლო ამოცნობებ!..

მიწის შეიღწო!.. — ეღვის სახით შემომქმედი მოგვიწოდებს!

474
1920

„არსებობის დასაბამი“ გულის წილს ჩაგვიფრინდა..
 ჰა, ნუ გძინავს კაცის ქუავე... შეუქმნელის შექმნა გვინდა.
 ხედავთ, ჩაგვედა გულის სიღრმეს ჰანგი ზეცით მოტივტივე
 შეგვაყვარა მან სიკოცხლე სიკეკლუცით მოყვავილე!..
 რისთვის ვსდუმვარა? რათ არ ძალგვიძს მნათობებთან საუბარი?
 თუ მუნჯი ხარ, დედამიწავ, მამ ცხოველ მზეს რად შეგზარი?..

* * *

ნეტავ რისთვის?.. რად არ ძალგვიძს უხილავის მარად მზერა?!
 ნეტავ როდის დედა მიწის—გაისმება ტკბილი მღერა?!
 ნეტავ როდის დამყარდება სამუდმივო სიხარული?!
 მას ვიხილავ, რასაც ეძებს ცის წილში ზემი სული?!
 ნეტავ როდის შევისწავლი მიწის შვილი ფრინველთ ენას?!
 და მით ლამაზ ქვეყანაზე ველირებით მუდმივ ღებნას?!
 * * *

ცა რომ ელავს მაშინ ნეტავ დედამიწა—რას ეუბნება?!
 ან და რაღაო მის პასუხი მასვე უკუ უბრუნდება?!
 თუ ზოირთო ეს სიკოცხლე ათასფერად გადაშლილი—
 საიდუმლოს გზა რაღაო გვგზნა ნაო-ეკლებით მოფენილი?!
 ყველას ქვეყნად სიკ. დილი გვკლავს, სიკედლისგან ყველა ქრება —
 მაკრამ ნეტავ თვით სიკედლი არ მოკვდება?
 * * *

მზვე ცხოველო! ცივ მიწის გულს რათ არ ათრობ მწველ სხი-
 ვებით?
 ნუ თუ ყველა დღეს დამუნჯდით, რომ არაფერს მეუბნე-
 ბით?!
 ნეტავ როდის, მიწის შვილო, შემ ~~მე~~ მიუწვდომელს?
 ნეტავ როდის შენს გონებით შეასრულებ შეუძლებელს?!
 ხმაურდება სიკოცხლე და ნელ-ნელ ქრება ყველგან ბნელი.
 ჰა, ნუ გძინავს, კაცის ქუავე, — მოუთმენლოდ პასუხს ველი?!
 ილია.

პასუხისმკვებლობა მთავრობის წინაშე ნაკისრე-
 ბი აქვა გიმნაზიის დირექტორი ვ. შინთიშვა-
 შვილს.

რედაქტორები: { ილ. ქადაგიძე.
 სტ. ფურცელაძე.